ოქმი:**ო63.6321281001**
თარიღი:**08/10/2021**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის

ო ქ მ ი N 20

ქ. სამტრედია. 4 ოქტომბერი, 2021 წელი.

2021 წლის 4 ოქტომბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის საკრებულოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, კობა ძიძიგური, მანანა სირბილაძე, ბადრი შენგელია, მერაბ უღრელიძე, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ვაჟა სტურუა, ზაზა ადეიშვილი, კოტე ნაცვლიშვილი, დავით ამაღლობელი, გრიგოლ ჩიგოგიძე, ხვიჩა ფანცულაია, ტარიელ თევზაძე (ონლაინ ჩართვა), ილია მჟავია, ვახტანგ დუნდუა, ვაჟა კოხრეიძე, გოჩა არველაძე, ბაია იმესაშვილი, ავთანდილ ტორონჯაძე, ლიზა კრავეიშვილი, ნონა გოგისვანიძე, გრიგოლ დარჯანია, დავით ნიკოლეიშვილი (ონლაინ ჩართვა), ავთანდილ სტურუა (ონლაინ ჩართვა), კამო კანდელაკი, აკაკი მინაშვილი (ონლაინ ჩართვა).

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს ბუღალტერი, ენძელა პატარიძე.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე; საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების უფროსი, მარინა ანდღულაძე. დაგეგმვის განყოფილების უფროსი, მედეა ლეჟავა.

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთულის ხელმძღვანელის, აპარატის უფროსის მ/შ, ნორა იანიკოვი.

4. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,საინფორმაციო ცენტრი’’-ს ხელმძღვანელი,

სოფიო კირთაძე.

5. შ.პ.ს. ,,სამტრედიის მაცნე’’-ს ჟურნალისტი, თეა ბაბუნაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომას ონლაინ ჩაერთვებიან საკრებულოს წევრები: ტარიელ თევზაძე, ავთანდილ სტურუა, აკაკი მინაშვილი და დავით ნიკოლეიშვილი.

საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 180 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ.შ. ვ.სტურუა/

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის რაგბის გუნდი ,,ფენიქსი"-ს 2021 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 ივლისის №გ-63.63211975 განკარგულებაში ცვლილების თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ.შ. ვ.სტურუა/

3. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის აგვისტოს თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ.შ. ვ.სტურუა/

4. ინფორმაცია, ა.(ა).ი..პ სამტრედიის მუნიციპალიტეის სამხატვრი სკოლა-გალერეა''-ს სისტემური და ფინანსური აუდიტის ანგარიშის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ.შ. ვ.სტურუა/

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში, 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ნ.ჯამბურია/

6. სხვადასხვა

დღის წესრიგის მე-6 საკითხთან დაკავშირებით (სხვადასხვაში), განცხადების გაკეთების უფლება ითხოვა კობა ძიძიგურმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (27 ხმით), დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 180 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 20 სექტემბრის N62-622126350 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი''-ს, 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, ხორციელდება მუხლობრივი ცვლილება. მუხლში ,,სხვა ნაგებობები, რომელიც არ არის კლასიფიცირებული'' თანხა მცირდება 5.0 ათ.ლარით, შესაბამისად თანხა იზრდება ,,მანქანა-დანადგარების და ინვენტარის'' მუხლში 5.0 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა წევრმა

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (27 ხმით) დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს, 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 180 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის, რაგბის გუნდი ,,ფენიქსი"-ს 2021 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 ივლისის №g-63.63211975 განკარგულებაში ცვლილების თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 28 სექტემბრის N 62-622127137 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რაგბის გუნდი ,,ფენიქსი"-ს'', 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, საკუთარი შემოსავლების ხარჯვით ნაწილში ხორციელდება მუხლობრივი ცვლილება (დანართი N3), მცირდება რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირადი ჰიგიენასთან დაკავშირებული გეგმა 4,7 ათ.ლარით და შესაბამისად იზრდება სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის მუხლში თანხა 4,7 ათ. ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა წევრმა

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (27 ხმით) დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის რაგბის გუნდი ,,ფენიქსი"-ს, 2021 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 ივლისის №g-63.63211975 განკარგულებაში ცვლილების თაობაზე''.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის აგვისტოს თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის აგვისტოს თვის შემოსავალმა შეადგინა 12604,2 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 83,2%-ით, საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 7713,8 ათასი ლარი, რაც აგვისტოს თვის გეგმის 104 %-ია, აქვე უნდა ავღნიშნოთ , რომ დ.ღ.გ. საქმიანობიდან მიღებულმა გადასახადმა შეადგინა - 6142,9 ათასი ლარი გეგმა შესრულდა-99,9 %-ით, ხოლო მიწის გადასახადიდან მიღებულია - 64,2 ათასი ლარი გეგმა შესრულდა 58,4 %-ით, შესრულების დაბალი პროცენტი გამოწვეულია იმით,რომ მიწის გადასახადის სავადოდ ითვლება ყოველი წლის ნოემბრის თვის 15 რიცხვი.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ.

დაადგინეს: ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის აგვისტოს თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ, მიღებულია ცნობად.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 7 სექტემბრის N 62-622125074 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ, მიმდინარე წელს განხორციელებული ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა''-ს, სისტემური და ფინანსური აუდიტის ანგარიშს.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აუდიტორული შემოწმება ხორციელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2019 წელს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის (,,საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების თაობაზე'') შესაბამისად.

ჩატარებული სისტემური და ფინანსური აუდიტის მიზანი იყო შეესწავლა, გაეანალიზებინა და შეეფასებინა ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სამხატვრო სკოლა-გალერეას''-ს არსებული კონტროლის მექანიზმები, რამდენად უზრუნველყოფს ორგანიზაციის მიზნების და ამოცანების მიღწევას. დაწესებულების ფუნქციონირებას კანონებთან, გეგმებთან, სტრატეგიულ დოკუმენტებთან და სხვა საკანონმდებლო ნორმებთან შესაბამისობას ასევე არსებული კონტროლის მექანიზმები, რამდენად სწორად არის დანერგილი და რამდენად უზრუნველყოფს ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა, აქტივებისა და ვალდებულებების ეფექტიანად მართვას, საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად გამოყენების პროცესის სანდოობას.

სისტემური და ფინანსური აუდიტის შემოწმების ფარგლებში აღმოჩენილი გარემოებები მიუთითებენ, რომ არსებული კონტროლის სისტემები უმეტესწილად ეფექტურად ხორციელდება, თუმცა ზოგ შემთხვევაში მექანიკური ხასიათისაა. არსებული მდგომარეობა იძლევა იმის რწმუნების საშუალებას. რომ პროცესებში თანდაყოლილი რისკები სათანადოდ იმართება. გარკვეულ პროცესებში არსებულ თანდაყოლილ რისკებს გააჩნიათ შიდა კონტროლის მექანიზმები, უნდა ითქვას, რომ რისკების დონე არ არის მაღალი და არ ღემატება რისკების დასაშვებ დონეს. თუმცა არსებული რისკების შესამცირებლად უნდა დაინერგოს შესაბამისი

კონტროლის მექანიზმები. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური დაკარგები, დაწესებულების წინაშე არსებული მიზნების და ამოცანების მიღწევის შეფერხება და დადგენილ წესებთან შეუსაბამობა.

ყოველივე ზომოთ აღნიშნული მიუთითებს კონტროლის გარემოს გაუმჯობესების აუცილებლობაზე. მნიშვნელოვანია დაინერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები, რაც შესაძლებელს გახსის პროცესში არსებული თანდაყოლილი რისკების უარყოფითი გავლენის შემცირებას. აუდიტორული შემოწმების შედეგად წარმოდგენილია რეკომენდაციები. კერძოდ,

· მოხდეს ორგანიზაციის წესდების დახვეწა და ამოღებული იქნას კონკრეტული ფუნქციები, რომლებიც არ წარმოადგენს ორგანიზაციის ფუნქციებს.

· განხორციელდეს ორგანიზაციის შედეგების შეფასების ინდიკატორის დახვეწა, რითაც შესაძლებელი იქნება შედეგების გაზომვა.

· ბიუჯეტში შემდგომი ცვლილებების თავიდან აცილების მიზნით ბიუჯეტის დაგეგმვის დროს მაქსიმალურად სწორად მოხდეს ხარჯების განაწილება.

· კონკრეტულ შესყიდვას წინ უსწრებდეს შესაბამისი დოკუმენტირებული საჭიროების დასაბუთება.

· შესყიდვის ხელშეკრულებებში მოხდეს საქონლის/მომსახურების მოწოდების პირობების იმგვარი დაზუსტება, რომ შესაძლებელი იყოს მომწოდებლის მიერ მოწოდების პირობების დარღვევის/არ დარღვევის დადგენა და შესაბამის ხელშეკრულებაში არსებული საჯარიმო სანქციების გამოყენების/არ გამოყენების საჭიროება.

· შესყიდვის ხელშეკრულებაში კონკრეტულად იყოს აღწერილი შესასყიდი საქონელი-მომსახურება.

აზრი გამოთქვა: ნუგზარ ჯამბურიამ, ალექსანდრე ნაცვლიშვილმა, ზაზა ადეიშვილმა, ბადრი შენგელიამ.

ნუგზარ ჯამბურია - მივესალმები სამტრედიის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს. საქმის წარმოებისათვის ასეთი რჩევა ყოველთვის გასათვალისწიენებელია. დარწმუნებული ვარ თქვენთან წარმოებული ეს პროცესები, კიდევ ერთხელ ხელს შეუწყობს სამხატვრო გალერეას საქმიანი ურთიერთობისგაუმჯობესაბას, ხარისხის ამაღლებას.

ალექსანდრე ნაცვლიშვილი - მე მაისის ბოლოს გადმოვედი შიდა აუდიტის სამსახურში. გვაქვს მითითება, რომ ახალი სისტემით მოხდეს ორგანიზაციების შემოწმება. ა.(ა).ი.პ. სამხატვრო სკოლა-გალერეა არის დაბალ ბიუჯეტიანი დაწესებულება, შესაბამისად რისკებიც არ იქნებოდა ძალიან დიდი. სასურველია მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებულ სხვა ორგანიზაციებს მიეწოდოს ის რეკომენდაციები, რომელიც დროში გაწერილია და მისაღებია მათთვის.

ნუგზარ ჯამბურია - ძალიან კარგია ის ინფორმაცია, რომელიც მოგვაწოდეთ. დარწმუნებული ვარ ხელსაყრელი იქნება მათი ა.(ა).ი.პ. ების მუშაობისათვის.

ზაზა ადეიშვილი - მივესალმები ჩვენი ა.(ა).ი.პ.-ების სისტემურ და ფინასურ შემოწმებას. წარმოდგენილი სწორი რეკომენდაციები დაეხმარება და ხელს შეუწყობს მათ სწორ მუშაობას. იმედი მაქვს, რომ სხვა ფინანსურად მსხვილ ა.(ა).ი.პ.-ებსაც წაადგებათ კონტროლი. რამდენიმე კვირის წინ ვიყავი სამხატვრო

სკოლა-გალერეაში და უხერხულად ვიგრძენი თავი. ის სარემონტო სამუშაოები რაც მერიასა და საკრებულოში ტარდება მისასალებელია, მოწესრიგდება ინტერიერი და თუნდაც სტანდარტების საშუალო დონეზე, მაგრამ მისაღებია. სამხატვრო სკოლა-გალერეას ოთახი არ არის გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოებში. რა დაჯდება ასეთი, რომ მოხდეს ამ ოთახის გარემონტება. ამ გალერეას აქვს საკმაოდ ძვირად ღირებული და ძალიან მნიშვნელოვანი სახელოვნებო ფონდი, რომელიც სამტრედიელი და შეიძლება არასამტრედიელი მხატვრების ტილოებს ინახავს. ამ ნაშრომებს შესაბამისი შენახვა და მოვლა-პატრონობა სჭირდება.

ბადრი შენგელია - ვინც ეს დაგეგმა, ვფიქრობ რომ გულგრილი დამოკიდებულება გამოხატა ამ საქმის მიმართ. ასეთი რამ ნამდვილად არ შეიძლება.

ნუგზარ ჯამბურია - ეს საკითხი ნამდვილად მოგვარდება, ცოტა გვიან გავიგეთ ეს ამბავი, რაღაც გარკვეული მიზეზები არის, მაგრამ გარწმუნებთ მოუგვარებელი არ დარჩება.

დაადგინეს: ინფორმაცია, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეის ,,სამხატვრი სკოლა-გალერეა''-ს სისტემური და ფინანსური აუდიტის ანგარიშის შესახებ, მიღებულია ცნობად.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ნუგზარ ჯამბურიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში, 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

პატივი მაქვს წარვსდგე თქვენს წინაშე ძალიან მოკრძალებული ინფორმაციით, თქვენთან ერთად 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ეს წელი კოვიდ პრობლემების თავსმოხვევით ზემოქმედებდა ჩანაფიქრის თუ ღონისძიებების ჩატარებაზე, მაგრამ შევძელით ის, რომ დასახული მიზნების გარკვეული ნაწილი, რომელიც აუცილებლობას წარმოადგენდა შესრულებულია.

ჩემო თანამოქალაქენო!

ჩემთვის უდიდესი პატივია, წარვსდგე თქვენ წინაშე და განვაცხადო, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო, უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის", ევროპული ქარტიის, მუნიციპლაიტეტის საკრებულოს რეგლამენტისა და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელება არის დინამიკური პროცესი, რომელშიც აქტიურად უნდა მონაწილეობდეს მოსახლეობა. ამიტომ თვითმმართველობსი განხორციელებაში განსაკუთრებული როლი ეკისრება.

ჩემთვის, როგორც საკრებულოს წევრისა და საკრებულოს თავმჯდომარისათვის, პრიორიტეტს წარმოადგენდა და წარმოადგენს სამართლიანობა, ადამიანური ღირებულებების პატივისცემა და პოლიტიკური სტაბილურობა.

საკრებულოს მორიგი სხდომები, საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, იმართება ყოველი თვის პირველ ორშაბათს.

2021 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით ჩატარდა საკრებულოს 20 სხდომა:

საკრებულოს რიგითი სხდომის რაოდენობა - 9.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომის რაოდენობა - 11.

მ/წელს, საკრებულოს მიერ, საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე, გადაწყვეტილება მიღებული არ არის. შესაბამისად, საკრებულოს დახურული სხდომა არ ჩატარებულა.

საკრებულოს ბიუროს სხდომების რაოდენობა - 49.

ბიუროს რიგითი სხდომა - 17.

ბიუროს რიგგარეშე სხდომა - 32.

აღნიშნულ სხდომებზე, განხილული და მიღებული იქნა 107 განკარგულება და 16 დადგენილება. სულ, დამტკიცებული იქნა 19 პროექტი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფუნქციონირებს 5 კომისია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომები:

1. საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა - 13.

2. ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომა - 17.

3. იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვისა და საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის სხდომა - 17.

4. განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის სხდომა - 8.

5. შრომის, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა - 4.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის სხდომები:

ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს სხდომა -4

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები''-ს სხდომა - 2

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერავატორები''-ს სხდომა - 3

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები''-ს სხდომა - 3

ფრაქცია ,,სამტრედიელი პატრიოტები''-ს სხდომა -1

ფრაქცია ,,ქართული ოცნება- სოციალ-დემოკრატები"-ს სხდომა -2

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს სხდომა -

ფრაქცია ,,ჩვენი სამტრედია"-ს სხდომა -

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მიმდინარე წელს ფუნქციონირებდა 8 ფრაქცია. 2021 წლის 25 აგვისტოდან, ფრაქციებმა: ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები'', ფრაქცია ,,ქართული ოცნება - სოციალ-დემოკრატები" და ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები'', მოგვმართეს განცხადებით, ფრაქციის გაუქმების შესახებ.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერავატორებ''-მა მოგვმართა განცხადებით, სახელის შეცვლასთან დაკავშირებით და ,,ქართული ოცნება-კონსერავატორებ''-ის ნაცვლად, ფრაქცია წარმოდგენილია სახელწოდებით -,,სამტრედიელი".

2021 წლის 6 სექტემბერს, საკრებულოს განცხადებით მომართა, ფრაქცია ,,მაჟორიტარებმა", ფრაქციის რეგისტრაციაში გატარების შესახებ. შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, დღეის მდგომარეობით არის 6 ფრაქცია:

1. ფრაქცია - ,,ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო''.
2. ფრაქცია - ,,მაჟორიტარები".
3. ფრაქცია - ,,სამტრედიელი".
4. ფრაქცია - ,,სამტრედიელი პატრიოტები''.
5. ფრაქცია - ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა".
6. ფრაქცია - ,,ჩვენი სამტრედია".

რეგისტრირებული სამართლებრივი აქტები:

1. დადგენილება-**16. (ნორმატიული სამრთლებრივი აქტი)**
2. განკარგულება-**97. (ინდივიდუალური სამართლებტივი აქტი)**
3. ბრძანება-**120.**

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს, ელექტრონულ პროგრამაში რეგისტრირებულია - **55 ოქმი** (საკრებულო, ბიურო, კომისია).

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2021 წელს, შემოსული მომართვების, განცხადებებისა და მოხსენებითი ბარათების საერთო რაოდენობაა - **621.**

1. მომართვები:

ა) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიიდან - **144.**

ბ) იურიდიული პირებიდან - **63.**

2. მოქალაქეების განცხადებები- **17.**

გასული მიმართვების რაოდენობა - **161.**

3. შიდა მოხსენებითი ბარათების და განცხადებების რაოდენობაა - **188.**

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით შემოსულია **12** განცხადება/მოთხოვნა:

ა) ფიზიკური პირებიდან - **4** განცხადება.

ბ) იურიდიული პირებიდან - **8** განცხადება/მომართვა.

ყველა მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციაზე, პასუხი გაცემულია კანონით გათვალისწინებულ ვადებში. გარდა მოქალაქე - ნონა ჩაჩუას განცხადებისა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49–ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკრებულოს მიერ მიღებული არცერთი გადაწყვეტილება არ არის გასაჩივრებული.

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის რეგულირებისა და კონტროლის სფეროში: მიმდინარე წლის მანძილზე.

საქართველოს კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,გ.ა'' ქვეპუნქტისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილების მე-4 მუხლის, მე-4 პუნქტის ,,ა''ქვეპუნქტის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისმა სამსახურებმა, (ინფრასტრუქტურა, საფინანსო, სოციალური, კულტურა, ადმინისტრაციული), შექმნილი ეპიდ სიტუაციის მიუხედავად, წარმოგვიდგინეს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისი''-ს შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებმა და ფრაქციებმა (25 აგვისტოს), ასევე მაჟორიტარმა დეპუტატებმა (30 აგვისტოს), წარმოადგინეს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

2021 წლის 18 იანვარს, საკრებულოში შექმნა დრობითი სამუშაო ჯგუფი. ჯგუფს დაევალა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგება და სარემონტო სამუშაოებზე ზედამხედველობა. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგების მიზნით, შეძენილი იქნა პროექტორი, კონდეციონერები, ავეჯი თითოეული სამუშაო ოთახისათვის და ჟალუზები. სააქტო დარბაზში სარემონტო სამუშაობის ჩატარება დროებით გადაიდო გარკვეულ მიზეზების გამო. ამ სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს ბატონი ტარიელ დვალიშვილი.

ეხლა მოგახსენებთ იმ პრიორიტეტების შესახებ, რა პრიორიტეტებიც საკრებულომ და მერიამ ერთად წარადგინეს თავიანთ სამუშაო გეგმაში.

საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში :

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 70-ე მუხლის შესაბამისად, 2020 წლის 18 დეკემბრის N17 დადგენილებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა **სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი, თანხით 14203,0 ათასი ლარის ოდენობით.**

ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა 14013,0 ათასი ლარით, მათ შორის:

- საგადასახადო შემოსავლები -11846,3 ათასი ლარი.

- სხვა შემოსულობები -2076,7 ათასი ლარი.

- არაფინანსური აქტივების ზრდა - 90,0 ათასი ლარი.

დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში პრიორიტეტები შემდეგნაირად განისაზღვრა:

1. 01 00 კოდი - მმართველობა და საერთო დანიშნულების ხაარჯები - 4,064.2 ათ. ლარი;

2. 02 00 კოდი - ინფრასტრუქტურის განვითარება - 2,005.8 ათ. ლარი;

3. 03 00 კოდი - დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1,410.8 ათ. ლარი;

4. 04 00 კოდი - განათლება - 2,668.0 ათ. ლარი;

5. 05 00 კოდი - კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 2,649.8 ათ. ლარი;

6. 06 00 კოდი - ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1,404.4 ათ. ლარი.

მიღებულ დადგენილებაში, ცვლილება განხორციელდა 6-ჯერ.

მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში :

ტრადიციულად, საკრებულო ყოველი წლის მარტის თვისათვის, ამტკიცებს დადგენილებას, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ''.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ,,საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ ‘’, მიღებული და დამტკიცებულია 4 განკარგულება.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო, წლის განმავლობაში, მონაწილეობას ღებულობდა სხვადასხვა აქტივობებსა და ღონისძიებებში:

დედისა და ქალთა საერთაშორისო დღე

ქალთა საერთაშორისო დღე. 8 მარტი. მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს ინიციატივით. სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქალბატონებისთვის, პანდემიის პირობებში, განსხვავებული და სიურპრიზებით სავსე აღმოჩნდა.

გამწვანების და დასუფთავების აქცია

ამავდროულად, თქვენთან ერთად, წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა, მონაწილეობა მივიღეთ დასუფთავების აქციაში - ,,გადავარჩინოთ მსოფლიო“. კამპანია საქართველოში „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები – საქართველოს“ მიერ (პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად), პროექტის „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ ფარგლებში, შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით ხორციელდება.

სასურველი იყო მოგვესწრო დარბაზში განსახორციელებლი სარემონტო სამუშაოები და პროექტორის დამონტაჟება, ვინაიდან იქნებოდა ჩემს მიერ გადმოცემული მასალის ფოტო დოკუმენტებით გამრავალფეროვნებული.

9 მაისი

ფაშიზმზე გამარჯვების 76-ე წლისთავი, სამტრედიაში მცხოვრები მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღია. 96 წლის რევაზ კანდელაკს, 102 წლის გრიგოლ ჩაჩუას და 98 წლის ალექსანდრა ჯულუხიძეს, ფულად ჯილდოსთან ერთად პრეზიდენტისა და პრემიერის ადმინისტრაციის საჩუქარი და მერიისგან სასურსათე ამანათი გადავეცით.

საკრებულოს წევრებისა და მერიის წარმომადგენლებისათვის უდიდესი პატივია მამულისათვის თავდადებულ გმირების დაღვრილი სისხლი ქვეყნის გაერთიანების სიმბოლო უნდა გახდეს.

2008 წლის 8 აგვისტო უახლესი ისტორიის უმძიმესი თარიღია. მარლენ ბარამია, ავეტიკ ლომიძე, ლაშა თევზაძე, ლევან მელქაძე, აღნიშნული გმირების საფლავების მონახულება მათთვის კიდევ ერთხელ პატივის მიგება და ახლობლებისათვის ნუგეძის ცემა ჩვენი, საკრებულოს თითოეული წევრის, მოვალეობაა. დიდება გმირებს. საკრებულოს და დამსწრე საზოგადოებას ვთხოვ, წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას.

განათლება

2021 წელი, 4 ოქტომბერი, ვაგრძელებთ პრიორიტეტების განხილვას. სამთავრობო საკონსულტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ჩვენს ქვეყანაში 4 ოქტომბერი, შესაბამისი რეგულაციების დაცვით, საქართველოს მასშტაბით, განათლების ზეიმია. ჩვენი ნაცნობების, ჩვენი შვილიშვილიები, მეგობრების შვილები დღეს დაეწაფებიან და დაიწყებენ განათლების სისტემაში თავიანთი წვლილის შეტანას, იმისათვის, რომ მიიღონ განათლება. მინდა მათ წარმატებები ვუსურვო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს დღეს პირველ კლასელებისათვის, ისინი პირველად შედიან ცოდნის ტაძარში და წარმატებები ვუსურვოთ მათ. ჩვენს მუნიციპალიტეტში 35 საჯარო სკოლაში დაიწყო სასწავლო წელი. დღესე დაიწყო ფუნქციონირება მუნიციპალიტეტში არსებულმა ბაგა-ბაღებმა. სამტრედიის მუნიციპალიტეტში, ნაბაკევის ადმინისტრაციულ ერთეულში, 60 ბავშვზე გათვლილი ბაგა-ბაღი აშენდა.მშენებლობა მუნიციპალურმა ფონდმა 700 000 ლარით დააფინანსა.

მომავალ თაობაზე ზრუნვა და მათთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ჩვენი უპირველესი მოვალეობაა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან შეხვედრა

მოსახლეობასთან კომუნიკაცია, მათთან ერთად არსებულ საჭიროებებზე საუბარი მნიშვნელოვანია. დამერწმუნეთ ბატონებო, დღეს ჩვენ ვიხილავთ ჩვენს მუშაობას დ აკიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ეს მუშაობა თქვენთან ერთად არის ჩატარებული, მაგრამ გაწეული მუშაობას ფასი არა აქვს თუ მას ძირითადი მასა, მოსახლეობა არ დაუჭერს მხარს. მე მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, რომლებმაც თავისი მოქალაქეობრივი ვალი მოიხადა და მხარი დაგვიჭირა, რათა გვემართა წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტი. მადლობა მინდა გადავუხადო არა მარტო ჩვენი მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობას მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებისა, ვინც აქტიურად მიიღო მონაწილეობა არჩევნებში. განსაკუთრებით მადლობა მინდა გადავუხადო მათ, ვისაც უფლება მიენიჭა 18 წლის ასაკში, პირველად წარდგნენ ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ფუნქციის შესასრულებლად. ვართ ადამიანები? ეს იმას ნიშნავს, რომ შევასრულოთ მოქალაქეობრივი ვალი, რასაც ჰქვია არჩევნებში მონაწილეობა განურჩევლად შეხედულებისა და პოლიტიკური მრწამსისა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში".სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის 660 000 ლარია გამოყოფილი. თანხა სრულად მოხმარდა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებებს და მათ მიერ გამოკვეთილი პრიორიტეტებს.

მოსახლეობის ჩართულობა, მათი მოსაზრებების გათვალისწინება კარგად ჩანს სოფლის მხარდაჭერის პრორამების განხილვის დროს. ყველა სოფელში იმართება შეხვედრები მოსახლეობასთან, განიხილავენ მათ წინადადებებს და პრიორიტეტებს, სადაც აისახება სოფლის პრობლემები.

ადმინისტრაციულ ერთეულებში, დასახლებების საერთო კრებები და საკონსულტაციო შეხვედრები, მუნიციპალიტეტის 14 ადმინისტრაციული ერთეულის 50 სოფელში ჩატარდა.

სოფლის კრებებს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მართავდნენ, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები და მუნიციპალური

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები.

მემორანდუმი

ევროკავშირისა და ეუთოს ერთობლივი ინიციატივა, SIGMA (Support for Improvement in Governance and Management) გულისხმობს ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებსა და სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებში, მმართველობისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების ხელშეწყობას.

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელთან, გრიგოლ დალაქიშვილთან, ერთად ამ კონკრეტულ მიმართულებაზე ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი გავაფორმეთ.

საჯარო მმართველობის რეფორმა, რომელიც საქართველოში ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება, ორ მთავარ მიმართულებას მოიცავს: ადგილობრივი თვითმმართველობა და საჯარო ფინანსების მართვა, რომელშიც განსაკუთრებული როლი ეკისრება მოსახლეობას. ამ მემორანდუმში ხაზგასმულია, რომ რაც შეიძლება მეტი მოქალაქე უნდა ჩაერთოს პროექტში აქტუალური საკითხების გადაწყვეტაში.

მოსახლეობის ჩართულობა და ინიციატივები

მიმდინარე წლის 25 მაისს. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების. კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ ჩაატარა გასვლითი კომისიის სხდომა. სხდომაზე განსახილველი საკითხი გახლდათ ადგილობრივი მოსახლეობის ერთობლივი განცხადება. დიდი ჯიხაიშში N1 ქუჩისათვის ნიკო ნიკოლაძის სახელისა და N2 ქუჩისათვის. მოქანდაკე. ვალერი ჩხეიძის სახელის მინიჭების შესახებ. აღმოჩნდა. რომ სოფელ დიდ ჯიხაიშში ცენტრალურ ქუჩა გაყოფილი იყო ორად: N1 და N2 ქუჩად. კომისიამ იმსჯელა და მიზანშეწონილად ჩათვალა. რომ დიდ ჯიხაიშში. ცენტრალური ქუჩისათვის (მთლიანად) მიენიჭებინა ნიკო ნიკოლაძის სახელი. ხოლო N15 ქუჩისათვის ვალერი ჩხეიძის სახელი. აღნიშნულის დადებითად გადაწყვეტისათვის საჭიროა საკრებულომ მიიღოს თანხმობა **გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიისაგან. აღნიშნულ კომისიას გაეგზავნა საკრებულოს მიმართვა და ყველა დოკუმენტაცია.** დღემდე სამთავრობო კომისიიდან პასუხი არ მიგვიღია.

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში, რწმუნებულთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს მუშაობა

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში, რწმუნებულთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს სხდომა, სამ თვეში ერთხელ იმართება. სადაც ხდება მუნიციპალიტეტების ინტერესების წარმოდგენა და გათვალისწინება. პანდემიის პირობებში, ეწყობოდა საკონსულტაციო საბჭოს ონლაინ შეხვედრები.

Covid 19

მიმდინარე წელს. სამწუხაროდ. ისევ პანდემიის პირობებში გვიწევს თანაცხოვრება. საკრებულოს ინიციატივა ..სიცოცხლე სიცოცხლისათვის“ კვლავ აქტუალურია. საკრებულოს წევრებმა და აპარატის თანამშრომლებმა. შესაძლებლობის ფარგლებში. ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანეთ COVID – 19-ის ფონდში. მონაწილეობას ვღებულობდით სასურსათო ამანათების დახარისხებასა და გადაცემაში.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში. კორონა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს.

ვაქცინაციის პროცესში ჩაერთო, როგორც საკრებულოს წევრები, ასევე აპარატის თანამშრომლებიც.

სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო

სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო შეიქმნა 2018 წელს, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით. 2020 წელს დავამტკიცეთ, სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა. საბჭოს შემადგენლობაში არიან, როგორც საკრებულოს კომისიისა და ფრაქციის თავმჯდომარეები, ასევე ა/ო-ების წარმომადგენლები. საბჭო შედგება 19 წევრისგან (11 ქალი, 8 კაცი).

პანდემიამ, თითოეული მოქალაქის შრომისა და ცხოვრების რიტმი შეცვალა. ამიტომ, საჭიროების შემთხვევაში, შეხვედრები თუ კონფერენციები, დისტანციურ რეჟიმშიც იმართებოდა.

21 მარტს, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეს, მუნიციპალურმა გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა, აპარატის თანამშრომლებთან და ასევე ახალგაზრული პარლამენტის წევრებთან ერთად კიდევ ერთხელ გამოვხატეთ სიყვარული და თანადგომა, დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების მიმართ.

ასევე 2 აპრილს, აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღეს, საბჭოს წევრებმა, გავმართეთ საინფორმაციო შეხვედრა მერიისა და საკრებულოს საჯარო მოხელეებთან.

მიმდინარე წლის განმავლობაში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანებისა და საგანმანათლებლო რესურს ცენტრის თანამშრომლებთან წარვადგინეთ პრეზენტაცია თემაზე: ,,**ძალადობა, ძალადობის ფორმები და სამართლებრივი დაცვის მექანიზმები“**.

1-15 ივნისს, საკრებულოს აპარატის და მერიის საჯარო მოხელეებთან ჩავატარეთ საინფორმაციო შეხვედრა გენდერულ თანასწორობაზე, ძალადობასა და სექსუალური შევიწროების პრევენციაზე. შეხვედრის დასასრულს, საკრებულოს აპარატის თითოეულ თანამშრომელთან ერთად, სახალხო დამცველისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის მიერ მოწოდებული რეკომენდაციის შესაბამისად, ეტაპობრივად გავიარეთ ონლაინ სასწავლო კურსი:

ა) გენდერული თანასწორობის შესახებ :

http://genderequality.ombudsman.ge/ka/login

ბ) სექსუალური შევიწროების შესახებ:

http://sexualharassment.ombudsman.ge/ka/login

11 ივნისს, შეხვედრა გაიმართა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელთან ქალაქ სამტრედიაში და ამავე სამსახურის თანამშრომლებთან. თემა იყო :,,ცნობადობის ამაღლება გენდერზე დაფუძნებულ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით“.

ასევე გავმართეთ შეხვედრები მუნიციპალიტეტში სოფლად მცხოვრებ ქალებთან, ასევე საბავშვო ბაღის პედაგოგებთან. შეხვედრის თემა იყო: ,,ქალთა საჭიროების კვლევა“,,, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა“. ვისაუბრეთ ქალთა საჭიროებებზე, არსებულ პრობლემებსა და მათი აღმოფხვრის გზებზე

„თემის ლიდერების შესაძლებლობების გაძლიერება გენდერული სტერეოტიპებისა და ძალადობის წინააღმდეგ“ ფარგლებში, „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის“ მხარდაჭერით და საბჭოს წევრის ჩართულობით, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მიერ, დაგვიფინანსდა პროექტი „თემის გაძლიერება გენდერული თანასწორობისთვის“.

შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, რომელთაც გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი

საკრებულოს აპარატი, რეგლამენტის შესაბამისად, შეუფერხებლად უწევს ორგანიზებას საკრებულოს სხდომებს, ფრაქციებისა და კომისიების მუშაობას.

აპარატი 11 თანამშრომლითაა დაკომპლექტებული. აქედან 8-შტატით გათვალისწინებული და 3-ხელშეკრულებით აყვანილი.

საკრებულოს გამართულ საქმიანობას და საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებაში ხელშეწყობას უზრუნველყოფს, საკრებულოს აპარატი.

დანერგილ ელექტრონულ საქმისწარმოების სისტემაში წარმატებული საქმიანობის შედეგად, საკრებულოს ყველა წევრი, დროულად და სრულყოფილად იღებს საკრებულოს სხდომებზე განსახილველ საკითხებს, მოქალაქეების განცხადებებს, კომისიის და ფრაქციების დღის წესრიგს და სხვა სახის დოკუმენტაციას.

შემოსული წერილები და კორესპოდენციები აღრიცხულია სათანადო წესის დაცვითა და დროულად არის მიწოდებული ადრესატამდე.

დაცულია ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება.

2021 წლის 4 ივნისიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ელექტრონული დოკუმენტბრუნვა ხორციელდება ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ პროგრამაში (MSDA). აღნიშნული პროგრამის სწავლებაში მონაწილეობა მიიღო აპარატის ყველა თანამშრომელმა. თუმცაღა არის პროგრამული შეფერხებები, მაგრამ ვფიქრობ რომ ეს დროებითია და გამოსწორებადი.

მთელი პანდემიის პერიოდში, საკრებულოს აპარატში ყველა მსურველისათვის ღია იყო კარი და არ ყოფილა არც ერთი ჩავარდნა აპარატთან მიმართებაში.. არ არსებობს არც ერთი საკითხი, რომელიც საკრებულოს აპარატის მიერ დროულად და ხარისხიანად არ შესრულებულა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში, საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეებმა, მიმდინარე წელს, ორჯერ წარმოადგინა ანგარიში, გაწეული მუშაობის შესახებ. მადლობა საკრებულოს აპარატის სრულ შემადგენლობას მათი კეთილსინდისიერი და მაღლკვალიფიციური მუშაობისათვის.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე, www samtredia.gov.ge. პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულების შესაბამისად, ქვეყნდება ყველა საკრებულოს სხდომებისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია საკრებულოს საქმიანობის შესახებ.

ბატონებო, მე არ შემიძლია არ მოგახსენოთ ჩემი დამოკიდებულება თქვენდამი. საკრებულოს ორი მოწვევის განმავლობაში, ერთად გავიარეთ ის პროცესები, რაც ჩვენს საქმიანობას ახლდა. მე ძალიან ბევრჯერ მითქვამს, რომ ეს არის დარბაზი, სადაც განათლების კუთხით არის ყველაფერი იმ დონეზე, რომ მაქსიმალურად შესაძლებელი იყო ნებისმიერი პრობლემის ადგილზევე გადაწყვეტა. მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის. სულ რამდენიმე დღე და მე-4 მოწვევის საკრებულოს ისტორიის საკუთრება გახდება და ჩვენს მიერ გაწეული მუშაობა მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი იქნება. მადლობა თანაგრძნობისათვის. დარწმუნებული ვარ ამ დარბაზში შეკრებილი ადამიანები მე-5 მოწვევის საკრებულოშიდაც იქნებიან. ვართ ადამიანები? ვართ ერუდირებულები?, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა ვემსახუროთ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს მუნიციპალიტეტს და ერთობლივი შრომით და შემართებით ვაკეთოთ ის, რაც ჩვენ შეგვიძლია, შრომა ქვეყნის სასიკეთოდ, რათა მომავალ თაობას ქონდეს შესანიშნავი გზა, გზა წარმატებისა, სიცოცხლისა და არსებობისა.

აზრი გამოთქვეს: ტარიელ დვალიშვილმა, გიორგი ლეჟავამ, ზაზა ადეიშვილმა, დავით ამაღლობელმა, ბადრი შენგელიამ.

ტარიელ დვალიშვილი - საკრებულოს წევრებს, საკრებულოს თავმჯდომარეს, მადლობას მოგახსენებ თანამშრომლობისათვის, იმ წლებისთვის, რაც ერთად ვიშრომეთ ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის. ვეთანხმები ბატონ ზაზა ადეიშვილის შენიშნვას სამხატვრო სკოლ-გალერეას ოთახის რემონტთან დაკავშირებით. ჩვენ, მუშა ჯგუფის არც ერთი წევრი, არ იყო საქმის კურსში და დღეიდან გავერკვევით ამ სიტუაციაში. თავმჯდომარის გამოსვლა, მისი 2021 წლის ანგარიში, შემიძლია შევაფასო დამაკმაყოფილებლად.

გიორგი ლეჟავა - დღეს მოვისმინეთ საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში. მე, როგორც ერთი რიგითი წევრი და კომისიის თავმჯდომარე, თავს მოვალედ ვთვლი შევაფასო აქ წარმოდგენილი ანგარიში. თავიდან ანგარიში იყო სტატისტიკა, გარეშე პირისთვის შეიძლება მოსაწყენი იყოს ეს ყოველივე, მაგრმ მე და თქვენ ხომ კარგად ვიცით ამ განკარგულებების, დადგენილებების უკან დგას ის გაკეთებული საქმეები, რომლებიც განხორციელდა ჩვენი მუნიციპალიტეტში, მათ შორის ჩვენს სოფლებში. ზოგან მოჭარბებულად, ზოგან მოკრძალებულად. მე ვისურვებდი, რომ ეს სიტყვა მომავალში არ დამჭირვებოდა. იმიტომ, რომ მოჭარბებულსა და მოკრძალებულს შორის ძალიან დიდი სხვაობაა. მე მინდა, რომ თანაბრად გადანაწილდეს ის მინიმალური რესურსები, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტს გააჩნია. რაც შეეხება ჩვენს მუშაობას მე ასე ვთვლი, რომ ყოველთვის იყო პრიორიტეტი ადამიანი, მისი პრობლემებით, გადაუჭრელით და

გადასაჭრელით. ადამიანი, როგორც ცოცხალი არსება, პრობლემების გარეშე წარმოუდგენელია. მე და ჩემი კოლეგები ვცდილობთ ხელი წაუკრათ ამ პრობლემების მოგვარებასა და გადაჭრაში. ბუნებრივია ნებისმიერი საქმიანობა რაღაც ნაკლის გარეშე არ არსებობს. მე მინდა ჩემი გადასახედიდან კრიტიკული თვალით შევხედო ყოველივე ამას და როგორც საკრებულოს ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარე ვთვლი, რომ საკითხი, რასაც ჰქვია, ჩვენი მოსახლეობისა და განსაკუთრებით ახალგაზრდობის დასაქმება, კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება არა მარტო ჩვენს მუნიციპალიტეტში, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით. ამ კუთხით ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. რაც შეეხება საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიშს ვთვლი, რომ მუშაობა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

ზაზა ადეიშვილი - ანგარიშს და ჩვენს გავლილ 4 წელს ერთი სიტყვით შევაფასებდი, დამაკმაყოფილებლად. მადლობა ბატონო ნუგზარ თქვენ, მადლობა აპარატს და კოლეგებს ამ წლებისთვის. ჩვენ საკრებულოში თუ საკრებულოს გარეთ ვიქნების ერთად ქვეყნის საკეთილდრეოდ.

დავით ამაღლოებელი - მე მაქვს ერთი შეკითხვა. უპირველეს ყოვლისა მეც გილოცავთ 2 ოქტომბრის მშვიდობით დამთავრებას. მომავალი მოწვევის საკრებულოს წევრებს წარმატებებს ვუსურვებ ჩვენი ქალაქის სასიკეთოდ. ბატონო ნუგზარ, საუბარი იყო საკრებულოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, არაფერი თქმულა 17 სექტემბრის საკრებულოს სხდომაზე. ყველამ ვიცით, რომ თქვენი თანამდებობა არის პოლიტიკური თანამდებობა. როცა პოლიტიკური თანამდებობის პირი აყენებს საკითხს ისევ პოლიტიკური თანამდებობის პირის გადაყენების შესახებ, და ეს საკითხი ჩავარდება საკრებულოს სხდომაზე, მიმაჩნია, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირს თუნდაც პოლიტიკური პასუხისმგებლობა უნდა აეღო და მინიმუმ უნდა გადამდგარიყავით დაკავებული თანამდებობიდან ან მინიმუმ ახალი მოწვევის საკრებულოს სხდომამდე სხდომა ფაქტიურად არც უნდა მოგეწვიათ. მეორე - ბატონი გოგი საუბრობდა მოჭარბებული და მოკრძალებული პროექტების შესახებ. თუ გახსენდებათ ამ ხნის განმავლობაში თქვენი ინიციატივით რა მოკრძალებული პროექტები ხორციელდებოდა თუნდაც გაღმა ზონის სოფლებისათვის.

ბადრი შენგელია - მე მინდა გამოვეხმაურო დავით ამაღლობელს და ავუხსნა, რომ რაც შეეხება მის მიერ აღნიშნულ ,,საკითხის ჩავარდნას'', ეს ზუსტად იმის შედეგია, რომ მოხდა საკითხის გადაწყვეტა დემოკრატიულად, შეუზღუდავად და ყოველივე ძალდატანების გარეშე. არ არის საჭიროა ზედმეტი პოლიტიზირება. აქ არაფერი არ არის სალაპარაკო. არის რიგი საკითხები, რომელიც წყდება დადებითად, და ჩვენი მუშაობის 4 წლის მანძილზე იყო ეს ერთი საკითხი, რომელიც გადაწყდა ისე , როგორც მოისურვა საკრებულომ, არავითარი ჩავარდნა არ ყოფილა, ეს იყო საკრებულოს დემოკრატიული გადაწყვეტილება. საკრებულოზე არ ჩავარდნილა არც ერთი ინფრასტურქტურული პროექტი, არც ერთი თანხმობა მერისათვის ქონების პრივატიზრბისა და იჯარით გაცემასთან დაკავშირებით. ჩვენ მუდამ ხალხის და ჩვენი მუნიციპალიტეტის სამსახურში ვართ და ვიქნებით.

ნუგზარ ჯამბურია - თქვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ ეს იყო ჩემი უფლებამოსილება. ჩემი ინიცირებით შემოვიტანე წინადადება საკრებულოს წინაშე. ბუნებრივია საკრებულომ გადაწყვიტა ის, რაც გადაწყვიტა ამ საკითხთან დაკავშირებით. შეგიძლიათ გამოითხოვოთ საკრებულოს და ბიუროს სხდომის ოქმები, სადაც თვალნათლივ არის ასახული ყველა პროცედურა და გარწმუნებთ, რომ არავითარ დარღვევავს ადგილი არ ქონია.

დაადგინეს: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ანგარიში, 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, შეფასდა დამაკმაყოფილებლად და მიღებულია ცნობად.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით (სხვადასხვა) - განცხადება გააკეთა კობა ძიძიგურმა.

კობა ძიძიგური - პირველ რიგში, მინდა კიდევ ერთხელ ავღნიშნრო, რომ ბატონი ნუგზარი თავის საქმიანობას კარგად ართმევდა თავს, ნამდვილად შეიძლება მისი ანგარიში ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. თუმცა მინდა გამოვყო რამოდენიმე საკითხი. სამწუხაროა პირადა ჩემთვის, ვერ მოვახერხეთ ჩვენ ჩვენი საკრებულოს მე-4 მოწვევის საკრებულოს პერიოდში მთავარი ქუჩისათვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭება. მიუხედავად იმისა რომ 15 სოფლიდან იყო განცხადება, ქალაქიდან რამოდენიმე ქუჩის მოსახლეობისა და ვეტერანების მომართვა ამასთან დაკავშირებით. მაგრამ ვერ მოხერხდა. მიმაჩნია რომ ეს ჩვენი საკრებულოსათვის ნაკლი და საკრებულოს მინუსია. ასევე ნიკო ნიკოლაძის სახელის მინიჭება დიდი ჯიხაიშის ცენტრალური ქუჩისათვის. ნამდვილად სამწუხაოა.ეს იმას ნიშნავს, რომ თვითმმართველობას ელემენტარული უფლება არა აქვს.

მე-5 მოწვევის საკრებულოში იქნებიან მე-4 მოწვევის ზოგიერთიწევრები. მინდა ყველას მივულოცო ვინც წესიერი, პატიოსანი გზებით მოიპოვეთ ეს მანდატები. აქვე ვისარგებლებ და მადლობას ვუხდი იმ ხალხს, ვინც გაუძლო ტერორს, დაშინებას, მოსყიდვას და მხარი დაუჭირა გახარიას. საქართველოსთვის მისი კეთილი მომავლისათვის თავისი მხარდაჭერა დააფიქსირა. სამწუხაროა, რომ ქართული ოცნება ისე დაკნინდა, სააკაშვილის ჩამოყვანით გაიმაგრა თავისი პოზიციები და უმწეო გაჭირვებული ხალხის მოსყიდვით შეივსო ხმები.

ნუგზარ ჯამბურია - ბატონო კობა, თქვენ კარგად იცით ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით არაერთი მიმართვა გაიგზავნა **გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო** კომისიაში, საიდანაც მივიღეთ უარი. ამის შემდგომ თქვენი თაოსნობით მოხდა ისევ საკითხის ხელმეორედ გადაგზავნა და ისევ უარყოფითი პასუხი მივიღეთ. რაც შეეხება დიდ ჯიხაიშში, ცენტრალური ქუჩისათვის ნიკო ნიკოლაძის სახელის მინიჭებას, გაგზავნილია მოთხოვნა თანხმობაზე და ველოდებით დადებით გადაწყვეტილებას. თუმცა დღემდე არ მიგვიღია პასუხი. ასე, რომ საკრებულოს მუშაობისათვის თქვენეული შეფასება ,,მინუსი'' და ,,უმწეობა'' ნამდვილად არ არის სწორი და ვერ დავეთანხმები.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი